პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 აპრილი, კვირა, 1987 წ.
№ 67 (9478) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ჭადრაკის სახახლე. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჭადრაკში საქართველოს (ქალთა) და იუგოსლავიის (ვაჟთა) გუნდებს შორის.

იხ. მე-2 გვ.

შეხვედრა ბათუმის „დინამოსთან“

ფეხბურთში I ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის წინ ბათუმის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი საქართველოს კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტში მიიწვიეს. ინფორმაცია ჩემპიონატისთვის გუნდის მზადების და მომავლის გეგმების შესახებ გააკეთა დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა ვ. ჩხარტიშვილმა.

შვეიცის ფეხბურთელები საქართველოში

ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრათა ჩასატარებლად საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა შვეიცის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდი „ტორნედალენი“.

დღეს „ტორნედალენი“ თბილისში შეხვდება II ლიგის ოსტატთა საკავშირო გათამაშების გუნდს თბილისის „შევარდენი“-ᲡᲞᲘ-ს. ეს მატჩი შედგება გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე. თამაში დაიწყება 15 საათზე.

შვეიცის ფეხბურთელები 7 აპრილს გორში შეხვდებიან ადგილობრივ „დილას“, ხოლო 9 აპრილს თბილისში ითამაშებენ „დინამოსთან“.

25 სახეობაში

თბილისის სპორტულ ბაზებზე დაიწყო ქალაქის მოსწავლეთა 43-ე სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია ტყვიის სროლა, ჭადრაკი, შაში, ფრენბურთი, საგზატკეცილო ველოსიპედი, კალათბურთი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, პიონერული ოთხჭიდი, იმშდ და მშდ-ს მრავალჭიდი, იმედის სტარტები, ცურვა, კრივი, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, ძალოსნობა და ჩოგბურთი.

შეჯიბრებები 28 მაისამდე გახტანს.

თბილისში,

„დინამოს“ სტადიონზე გრძელდება რესპუბლიკის მძლეოსანთა ასპარეზობა საქართველოს ტელევიზიის პრიზზე. 3 აპრილს თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა მატჩის დაწყებამდე და შესვენების დროს „ტელევიზიის პრიზის“ გათამაშების რიგით მე-2 ასპარეზობა გაიმართა. სურათზე 1000 მეტრზე გარბენის მონაწილეებს ხედავთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ამ შეჯიბრების შემჯამებელ წერილს „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.



გუშინ...

გაიმართა მეორე ტურის პარტიები, რომლებიც ახე დამთავრდა: ჩიბურდანიძე — ცებალო 0,5:0,5, რიხტიჩი — არახამია 0,5:0,5, იოხელიანი — ლიუბისლავლევიჩი 0:1, დესპოტოვიჩი — გურიელი 1:0. ალექსანდრია — მარტინოვიჩისა და რაიკოვიჩ — გაფრინდაშვილის პარტიები გადაიდო.

ხუთი სარატოვის რინგზე

ᲐᲛ ძველი რუსული ქალაქის რინგზე გამართულ იური გაგარინის მემორიალზე 184 ჭაბუკი და 20 მოზრდილი სპორტსმენი იბრძოდა გამარჯვებისათვის. შესანიშნავად გამოვიდნენ თბილისელი ჭაბუკები, რომელთაგან ხუთმა — ე. დანილოვმა, ლ. შეთეკაურმა, ვ. კარიბოვმა, პ. მუსელიანმა, ნ. ხორბალაძემ — თავიანთ წონებში გამარჯვებულის სახელი დაიმკვიდრეს. მოკრივეები იყვნენ გაგარინის კოსმოსში ისტორიული გაფრენის შემდეგ მისი დედამიწაზე დაშვების ადგილზე და ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის გაგარინის სახელობის მუზეუმში.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲜᲯᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ გამართულ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საუწყებო საკავშირო შეჯიბრებაში, რომელშიც 1969-70 წლებში დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ, საქართველოს ფალავნებმა სამივე ხარისხის მედლები მოიპოვეს. 88 კგ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა ქუთაისელმა გოგიტა კოლუაშვილმა („დინამო“), ამავე წონაში მესამე იყო თბილისელი რამაზ გადაბაძე („ბურევესტნიკი“). 58 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა სამტრედიელმა აკაკი ჩაჩუამ („განთიადი“). გუნდურ პირველობაში პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ნაკრებმა გაიმარჯვა. არაოფიციალურ გუნდურ ჩა-



გოგიტა კოლუაშვილი

აკაკი ჩაჩუა

რამაზ გადაბაძე

თვლაში საქართველოს წარმომადგენლები მეხუთე ადგილზე გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ მარშან საქართველოს მოჭიდავეებმა ანალოგიურ შეჯიბრებაში მეცხრე ადგილი დაიკავეს.

დღეს, 5 აპრილს

ᲛᲗᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ-ᲒᲐᲛᲐᲯᲕᲐᲜᲜᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲔᲑᲘ

თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუშინწინდელი მატჩის ფრაგმენტი. იხ. მე-3 გვ.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ჩვენი რესპუბლიკის ექვს ქალაქში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები. თბილისში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა „მართვე“ ანგარიშით 78:76 (41:37). თელავში თბილისის „სინათლემ“ ადგილობრივ „კახეთს“ აჯობა — 137:116 (71:42).

◎ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ კალათბურთელთა კლუბი „ტრეისერი“ (მილანი) ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელია. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც „ტრეისერმა“ სუპერფინალში ანგარიშით 71:69 (33:36) დაამარცხა ისრაელის „მაკაბი“. ეს მატჩი შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიმართა.

◎ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ჰოკეისტთა ექსპერიმენტული გუნდი კანადაში დამარცხდა ამ ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებთან — 1:2. ეს იყო ჩვენი გუნდის მეხუთე წაგება ამ ტურნირში, მან მხოლოდ პირველი მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა.

ᲬᲔᲚᲔᲣᲜᲘᲐᲜᲘ — ᲛᲔᲥᲘᲡᲔᲚᲘ

◎ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ მთავრობამ მოიწონა ხუთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ათენისა და ქვეყნის სხვა რაიონების ინფრასტრუქტურის სრულყოფას ან შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გადაწყვეტილებას მიიღებს 1996 წელს ოლიმპიური თამაშები საბერძნეთში ჩაატაროს.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჭადრაკში: საქართველო (ქალები) — იუგოსლავია (ვაჟები)

იუგოსლავიის გუნდი: მარცხნიდან — მ. ცებალო, დ. რაიკოვიჩი, ხ. მარტინოვიჩი, ნ. რისტიჩი, უ. ლიუბისლავლევიჩი, მ. დესპოტოვიჩი.

საქართველოს გუნდი: მარცხნიდან — ქ. არახამია, ნ. იოსელიანი, ნ. ალექსანდრია, ე. ახმილოვსკაია, ნ. გურიელი, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბურდანიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკვი ლომისა სწორია...

დიდი ზეიმია თბილისის ჭადრაკის სასახლეში. როგორც იცით, იუგოსლავიის ერთ-ერთი უძლიერესი საჭადრაკო კლუბის, ქალაქ სმედერევსკა-პალანკას „გოშას“ ვაჟთა ნაკრებმა სურვილი გამოთქვა მსოფლიოში უძლიერეს ქალთა გუნდს — საქართველოს ნაკრებს შეხვედროდა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში. სტუმართა გუნდში ბევრი ცნობილი მოჭადრაკეა: საერთაშორისო დიდოსტატები მიშო ცებალო, დუშან რაიკოვიჩი, სვობოდან მარტინოვიჩი, საერთაშორისო ოსტატები ნენად რისტიჩი, ჟივონ ლიუბისლავლევიჩი და მომჩილო დესპოტოვიჩი (სტუმრები ამ თანმიმდევრობით განაწილდნენ დაფებზე).

42 წლის ცებალო იუგოსლავიის ექსჩემპიონი და ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრია, მონაწილეობდა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში.

რაიკოვიჩიც ქვეყნის ექსჩემპიონია, იგი იუგოსლავიის ოლიმპიურ ნაკრებში თამაშობდა. რაც შეეხება სხვებს, ისინიც საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი მოჭადრაკეები არიან. მათი ძალა განსაკუთრებით გუნდურ შეჯიბრებებში იგრძნობა. როგორც იცით, „გოშას“ ვაჟთა გუნდი ქვეყნის ჩემპიონია და ახლა იგი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად ემზადება. მისი მეტოქე ამ ეტაპზე შვეიცარიის ნაკრები იქნება.

საქართველოს ქალთა გუნდს წარდგენა არ სჭირდება. ჩვენი მოჭადრაკეები დაფების მიხედვით ასე განლაგდნენ: მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ელენა ახმილოვსკაია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი. სათადარიგო წევრია ქეთევან არახამია.

3 აპრილს ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა ეს უპრეცედენტო მატჩი. შეიძლება ითქვას, ასეთი საჭადრაკო დღესასწაული ჩვენს ქალაქში კარგა ხანია არ გამართულა. კენჭისყრაზე თეთრი ტორტი (დიახ, ლამაზი და გემრიელი თეთრი ტორტი) სტუმრებს ხვდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ იუგოსლავიის გუნდი პირველ და ყოველ კენტ დაფაზე თეთრი ფიგურებით ითამაშებდა.

საინტერესოდ წარიმართა ცებალოსა და ჩიბურდანიძის პარტია. გათამაშდა გრიუნფელდის დაცვა. შუა თამაშში მაიამ ფიგურა შესწირა და პოზიცია განიმტკიცა. სტუმარმა მხოლოდ ზუსტი სვლებით მოახერხა თავის დაცვა. მან ეტლი შესწირა მსოფლიო ჩემპიონს და მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია.

გაფრინდაშვილმა რაიკოვიჩთან დებიუტშივე მიიღო უპირატესობა. სხვათა შორის, იუგოსლავიის ექსჩემპიონმა პირველი ათი სვლა თითქმის მხოლოდ ერთი მხედრით გაიკეთა და მოხდა ისე, რომ b8 უჯრიდან წამოსული ეს ფიგურა g8-ზე აღმოჩნდა, რაც იშვიათია ჭადრაკში. გაფრინდაშვილმა მოიგო ცენტრალური პაიკი, ძლიერად წარმართა ფიტელშპილი და პარტია მოსაგებ მდგომარეობაში გადადო.

ალექსანდრიამ შავებით შეძლო პოზიციის გათანაბრება, და თუ შეიძლება ითქვას, სასიამოვნო თამაში მიიღო, მაგრამ ორმხრივ ციტნოტში, უკეთეს პოზიციაში შეცდომა მოუვიდა და გამარჯვება მიულოცა მარტინოვიჩს.

ახმილოვსკაია — რისტიჩის შეხვედრაში სტუმარმა თამაშის დაწყებისთანავე დათმო ხარისხი, მაგრამ ლენამ ვერ გამოიყენა უპირატესობა, დაკარგა ცენტრალური პაიკი და პარტია წააგო.

ლიუბისლავლევიჩთან შეხვედრაში იოსელიანმა შავებით კარგი პოზიცია მიიღო. ორმხრივ ციტნოტში იუგოსლავიელმა მოჭადრაკემ უხეში შეცდომა დაუშვა, ეტლი „დაუსვა“ მეტოქეს და საათი გააჩერა.

მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა გურიელ — დესპოტოვიჩის პარტია. ნინომ ციტნოტში აჯობა მეტოქეს და შეხვედრა თავისთვის უკეთეს პოზიციაში გადადო.

თამარ ხუბაშვილი,
საერთაშორისო ოსტატი.

ᲮᲐᲠᲕᲔᲖᲔᲑᲖᲔ — ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ!

„ოქროს თევზის“ მოლოდინში

ანუ წყალში გადაყრილი ათასები

საქართველოში ცურვა რომ სპორტის ერთ-ერთი ჩამორჩენილი სახეობაა, ამაში კიდევ ერთხელ სსრ კავშირის ხალხთა IX საკავშირო სპარტაკიადამ დაგვარწმუნა.

რისი იმედი უნდა გვქონდეს მომავალში? ამის გასარკვევად იანვარში რესპუბლიკის სპორტსკოლებში ნორჩ მოცურავეთა შეჯიბრებები გაიმართა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 1976 წელს დაბადებული ბავშვები, ისინი, ვისაც ცურვაში მეცადინეობის 1-2 წლის სტაჟი მაინც აქვს.

რა გვიჩვენა ამ შეჯიბრებებმა? ამის შესახებ რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ცურვაში ოგორ ბარსკიმ საქართველოს ცურვის ფედერაციის პრეზიდიუმის ახლახან გამართულ სხდომაზე ილაპარაკა.

ინფორმაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ბარსკიმ პირდაპირ თქვა, რომ მდგომარეობა საგანგაშოა.

სტატისტიკური ცნობების თანახმად, 1976 წელს დაბადებული დაახლოებით 1000-მდე ბავშვი 110 სასწავლო-საწვრთნელ ჯგუფშია გაერთიანებული. თუმცა ისინი ერთიორი წელია დადიან მეცადინეობაზე, შეჯიბრებაში 1000-ის ნაცვლად 227 მოზარდი გამოვიდა. აქედან 46 გოგონა იყო.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

თბილისში ბავშვთა და მოზარდთა შვიდი სპორტსკოლაა, სადაც 1976 წელს დაბადებულ ბავშვებთან 30 მწვრთნელი მუშაობს, მაგრამ „გულალმა ცურვის დღეს“ სტარტზე მხოლოდ 22 გოგონა გამოვიდა: ბათუმში—11, რუსთავში—9, ქუთაისსა და ხოხუმში — 2-2.

ანალოგიური მდგომარეობაა სპორტსაზოგადოებებშიც. პროფკავშირული სპორტსაზოგადოებისა და „შრომითი რეზერვების“ სპორტსკოლებმა თბილისში გამართულ შეჯიბრებაზე თითო გოგონაც კი ვერ გამოიყვანეს.

იგივე სურათი განმეორდა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაშიც.

იქნებ მხოლოდ სიმრავლით ვერ ვიწონებთ თავს და მოცურავე გოგონების მომზადების ხარისხი კარგია? ამის გასარკვევად ჩვენი ნორჩი მოცურავეების შედეგები ლენინგრადელ თანატოლთა მაჩვენებლებს შეადარეს და შეშფოთდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საუკეთესო შედეგის მქონე გოგონა ლენინგრადში მე-80 ადგილს დაიკავებდა.

ამის შემდეგ რატომ უნდა გვიკვირდეს, ჩვენი ქვეყნის IX საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებში მხოლოდ ერთადერთი ქალი რომ იყო? ახე თუ გაგრძელდა, X სპარტაკიადაზე იქნებ ის ერთიც ვეღარ გამოვიყვანოთ.

სამწუხაროდ, საიმედო და სანუგეშო ვერც ბიჭების შეჯიბრებამ გვიჩვენა. შეგახსენებთ, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რესპუბლიკაში ცურვაში 1976 წელს დაბადებული 1000-მდე ბავშვი უნდა მეცადინეობდეს. რადგან სარბიელზე 46 გოგონა გამოვიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრებაში 900-მდე ბიჭს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ციხფერ ბილიკებზე 208 ბიჭი ვიხილეთ, მათგან თბილისში — 144, რუსთავში — 21, ბათუმში — 34, ქუთაისში — 5, ხოხუმში — 10

100 მეტრზე გულალმა ცურვაში ჩვენს რესპუბლიკაში საუკეთესო შედეგის მქონე ბიჭი ლენინგრადში მხოლოდ 74-ე ადგილს დაიკავებდა; 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში კი მხოლოდ ოთხი სპორტსმენი მოხვდებოდა ლენინგრადელთა საუკეთესო ახეულში. თუ იმასაც გავუწევთ ანგარიშს, რომ მოსკოველი, კიეველი, ხარკოველი, მინსკელი და სხვა ქალაქების ბავშვები ლენინგრადელებზე ნაკლებად არ ცურავენ, ჩვენი ჩამორჩენის დონე უფრო გამოიკვეთება.

ოგორ ბარსკიმ თავის გამოსვლაში ყურადღება წმინდა ტექნიკურ შედეგებზე გაამახვილა, მაგრამ იმაზე არაფერი უთქვამს, რომ ამ ახაკში სწრაფად ცურვაზე მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორაა დაუფლებული ბავშვი ცურვის ამა თუ იმ სტილს. დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ტექნიკურად გამართული მოძრაობით უფრო შორს გაცურავ შეიძლება (რა თქმა უნდა, სპორტული მწვერვალების დალაშქვრა გვაქვს მხედველობაში). ამიტომაა, კარგი სპეციალისტი ჯერ ბავშვს ცურვის ტექნიკას ასწავლის და შემდეგ — ყველაფერ დანარჩენს. ამიტომაა, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ცურვის სპორტსკოლებს კონკრეტულად რომ მიუთითებენ — ერთი-ორი წლის მეცადინეობის შემდეგ 10-11 წლის ბავშვი ცურვის ტექნიკურ საფუძვლებს უნდა დაეუფლოსო. ყოველ შემთხვევაში, 1983 წელს საკავშირო სპორტკომიტეტის ცურვის სამმართველოსა და სამეცნიერო-საკვლევი სამმართველოს მიერ შემუშავებულ ფითითებებში ასეა ნათქვამი.

სამწუხაროდ, ჩვენს ბავშვებს არც ცურვის ტექნიკა უვარგათ.

ცურვის ბევრი სპეციალისტი თავს იმართლებს, ვარჯიშის პირობები არა გვაქვსო. მართლაც, ბევრი აუზი მუდმივ რემონტშია, ბევრი არ თბება, ზოგიერთი შეფერხებებით მუშაობს, მაგრამ, როგორც ჩანს, იქაც არაფერი კეთდება, სადაც ახე თუ ახე შესაფერისი პირობებია.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქუთაისში, სადაც 25 დაწყებითი სახწავლო-საწვრთნელი ჯგუფია შექმნილი, მაგრამ შეჯიბრებაში მხოლოდ ორი გოგონა და სამი ბიჭი გამოვიდა. ე. ი. თითო ჯგუფში (სადაც 13-15 ბავშვია) მხოლოდ თითო ბავშვმა იცის ცურვა, თანაც ცუდად.

ამიტომაცაა, ხშირად რომ გვესმის მშობლების ჩივილი, ჩვენი ბავშვები წელიწადზე მეტია ცურვას სწავლობენ, მაგრამ 25 მეტრის გაცურვას ძლივს ახერხებენო.

როგორც ჩანს, მწვრთნელების უმრავლესობა „ოქროს თევზის“ გამოჩენას ელის. ამ ლოდინში კი უამრავი ხახრები იხარჯება. პრეზიდიუმის სხდომაზე ამაზეც ითქვა.

თუ ვიანგარიშებთ, რომ მწვრთნელის საშუალო ხელფასი წელიწადში დაახლოებით 2000 მანეთია, აღმოჩნდება, რომ მარტო თბილისში 1976 წელს დაბადებულ ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს 60 ათასი მანეთი მიუღიათ. ახლა ამას მიუმატეთ იჯარის, შეკრებების, სამედიცინო და სხვა მომსახურების ხარჯები. დანახარჯი 130 ათას მანეთს გადააჭარბებს. გამოდის, რომ ამ შეჯიბრებაზე გამოსული ერთი ბავშვის აღზრდა წელიწადში 6 ათასი მანეთი დაგვიჯდა (შედეგზე არაფერს ვამბობთ). დაგვეთანხმებით, ეს ფული წყალშია გადაყრილი.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა საგანგაშოა. პრეზიდიუმის სხდომაზე ითქვა, რომ მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან მუშაობის სტილი.

სხვა გამოსავალი არ არის.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)

თბილისი. 3 აპრილი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:0.

„დინამო“: გაბელია, ხვანაძე, ჩიგვაძე, აფციაური, მალანია, რევიშვილი (ბიგვავა, 73), კორღალიძე (ჩელებაძე, 73), ხულაქველიძე, ცაავა, კაკილაშვილი, შენგელია.

„ზენიტი“: ბირიუკოვი, დაქიდოვი, სტეპანოვი, კუზნეცოვი, ვორობიოვი, ლარიონოვი, დოლგოპოლოვი, ბარანიკი, კანიშჩევი (აფანასიევი, 65), დმიტრიევი (ულუდკოვი, 87), დანილოვი.

მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს დანილოვი.

...საფინალო სასტვენამდე 17 წუთით ადრე თბილისელებმა ერთდროულად ორი მოთამაშე შეცვალეს. მინდორზე გამოსულმა გამოცდილმა ჩელებაძემ და ახალგაზრდა ბიგვავამ ბრძოლას სიმძაფრე შემატეს, მე-80 და 85-ე წუთებზე ბიგვავამ ტაში დაიმსახურა: იგი ჯერ მარცხენა გარემარბის პოზიციიდან შეიჭრა ლენინგრადელთა საჯარიმოში, მეორედ კი მარცხენა შუამარბის ადგილზე განახორციელა სწრაფი დრიბლინგი მინდვრის ცენტრიდან მეტოქის საჯარიმომდე, მაგრამ ამ შეტევების დასკვნით ფაზაში, როცა ერთი ზუსტი პასის შესრულება იყო აუცილებელი, „ზენიტის“ მცველებმა დაძაბულობა განმუხტეს. 84-ე წუთზე დინამოელებს კარის აღების ერთადერთი რეალური შესაძლებლობა მიეცათ: ჩელებაძე კარგ პოზიციაში აღმოჩნდა და დაახლოებით მეკარის მოედნის კუთხიდან დაარტყა კარში, მაგრამ აქ ბირიუკოვმა ითამაშა კარგად — ფეხით მოიგერია ბურთი.

უნდა ითქვას, რომ ლენინგრადელთა ტანმაღალი თავდამსხმელების დმიტრიევისა (186 სმ) და დანილოვის (190 სმ) წინააღმდეგ ბრძოლა თბილისელთა მცველებისთვის ადვილი არ იყო. „ზენიტის“ თავდამსხმელებს ძირითადად სულაქველიძე და მალანია ეთამაშებოდნენ მონაცვლეობით. მათ თანაგუნდელთა დახმარებით გადაჭრეს თავიანთი ამოცანა და ისიც, რომ „დინამო“ მთელი მატჩის მანძილზე ინარჩუნებდა ტერიტორიულ უპირატესობას, ნახევარდაცვის შემწეობით მოხდა. შუა ხაზის მოთამაშეები ბევრს მოძრაობდნენ. ამ დღეს სწორედ ნახევარდაცვაში თამაშობდა გუნდის დებიუტანტი, „ნორჩი დინამოელის“ აღზრდილი, 17 წლის მამუკა აფციაური. ახალგაზრდებს რომ მეტ ნდობას უცხადებენ მწვრთნელები, ეს უდავოდ კარგია, მაგრამ დებიუტანტებს ასევე მეტი ნდობა უნდა გამოუცხადონ გულშემატკივრებმაც.

მონდომებით, ძველებური ტემპერამენტით იბრძოდა დინამოელთა ვეტერანი შენგელია. იბრძოდა მთელი გუნდიც, რათა ამჯერად მაინც არ გაეწბილებინა გულშემატკივრები, რომლებიც მიუხედავად თბილისელთა წარუმატებელი სტარტისა, მაინც ერთგულად მოვიდნენ სტადიონზე (33.380-იანი აუდიტორია უმაღლესი ლიგის ბევრი კლუბისთვის დღეს იშვიათობაა). მიუხედავად ფეხბურთელებისა და გულშემატკივართა ამ ერთსულოვნებისა, აგრეთვე, „დინამოს“ მიერ მოპოვებული პირველი ქულისა, ერთნიც და მეორენიც გულნაკლულნი ტოვებდნენ სტადიონს: გამარჯვების ზეიმი კვლავ გადაიდო, ლენინგრადის „ზენიტი“ ბოლო წლებში ჩვენთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცა (ამ გუნდებს შორის საკავშირო ჩემპიონატების ბოლო 8 შეხვედრიდან 7 ლენინგრადელებმა მოიგეს), თბილისელებს ორი ძირითადი ფეხბურთელი აკლდათ — ჭედია (მან ორი გაფრთხილება მიიღო) და კეტაშვილი (იგი დაშავებულია).

მომდევნო მატჩს თბილისელები კვლავ შინ გამართავენ, ამჯერად ალმა-ათის „ქაირათთან“.

ზურაბ ფოცხვერია.



„გურია“ (ლანჩხუთი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა)

ლანჩხუთი. 3 აპრილი. „გურიის“ სტადიონი.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 2:0 (1:0).

„გურია“: იმნაძე, მიქაბერიძე, ბახარაძე, ე. თევზაძე, კონდრატიევი, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ჩხაიძე (აკოფიანი, 65), ფრიდონაშვილი, მეგრელაძე (ჯიშკარიანი, 85).

„ქაირათი“: უბიკინი, კულინინი, ჯუმანოვი, გრიჯანი, ვოლგინი (ფომინი, 65), ნიკიტინი, ოგაი, ლედოვსკიხი, ხალიმოვი, შასუდოვი, კარაჩუნი.

მსაჯი ვ. ლისენკო (ოდესა).

გააფრთხილეს „ქაირათის“ ფეხბურთელები უბიკინი, ლედოვსკიხი, ხოლო გრიჯანი მინდვრიდან გაიძვეს, გააფრთხილეს, აგრეთვე, ლანჩხუთელი მეგრელაძე.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველ 3 მატჩში ლანჩხუთის „გურიამ“ კარგი მომზადება გამოაცხადინა და როგორც მაყურებლების, ისე სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურა, მაგრამ მარტო ამგვარი სიმპათიებით უმაღლეს ლიგაში ფონს ვერ გახვალ. აქ კონკურენცია მუდამ უკიდურესად დაძაბულია, მოწინავე პოზიციების შესანარჩუნებლად სიმპათიების გარდა, უპირველეს ყოვლისა, ქულებია საჭირო.

პირველ 3 ტურში „გურიამ“ მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, ახლა კი „ქაირათთან“ უკვე გამარჯვებისთვის იბრძოლა და მიაღწია კიდეც მიზანს — უმაღლეს ლიგაში პირველი მატჩი მოიგო და კვლავ საფუძვლიანი, კვალიფიციური თამაში აჩვენა. რა თქმა უნდა, „ქაირათი“ ხელწამოსაკრავი გუნდი არაა, კერძოდ, სულ ახლახან მოსკოვის „დინამოსთან“ მოიპოვა გამარჯვება, მაგრამ უკვე მატჩის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ სტუმრებს ხელს არ აძლევდა ტემპიანი თამაში, ამაში ლანჩხუთელები მათ აშკარად ჯობდნენ, ამიტომ ალმაათელი ფეხბურთელები შეეცადნენ შეენელებინათ ტემპი, ისინი დროდადრო უხეშობასაც არ ერიდებოდნენ, რის გამოც საბრალოლიანად დაისაჯნენ კიდეც.

„ქაირათმა“ თავისი ნახევარმცველი ოგაი პერსონალურ დარაჯად მიუჩინა ლანჩხუთელთა მთავარ დისპეტჩერს კოპალეიშვილს, მაშინ გამთამაშებლის ფუნქციები ტყებუჩავამ იტვირთა და ღირსეულადაც გაართვა თავი ამ რთულ მოვალეობას. მისი უნარიანი თამაში გუნდისთვის დიდი შემწეობა გახლდათ.

მასპინძლები მოფიქრებულად, კომბინაციურად უტევდნენ, 25-ე წუთზე ხლუსის თავური დარტყმა ძელმა მოიგერია, შემდეგ ტყებუჩავას მიერ მოწოდებული კუთხური კვლავ ძელს მოხვდა. „ქაირათის“ კართან გოლი კარგა ხანს მწიფდებოდა და 43-ე წუთზე ბურთი გავიდა კიდეც: ტყებუჩავამ მინდვრის სიღრმიდან წამოიწყო იერიში, დრიბლინგით გავიდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე, აქ მეგრელაძეს გადააწოდა და ამ უკანასკნელმაც ზუსტად შეასრულა დარტყმა—1:0.

ალმაათელებმა მდგომარეობის გამოსწორება მეორე ტაიმის დასაწყისშივე სცადეს, პირველი 15-20 წუთის მანძილზე „გურიას“ გაძლიერებული ძალებით უხდებოდა მათი იერიშების მოგერიება, საიმედოდ მოქმედებდნენ მეკარე იმნაძე და მცველები. შემდგომში ლანჩხუთელთა რიგებში შემცვლელად გამოვიდა აკოფიანი, რომელმაც ახალი ენერგია შეჰმატა გუნდს. მატჩის დასასრულისთვის „გურიის“ გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ საბოლოო გარანტიისთვის კიდევ ერთი გოლი იყო საჭირო და იგი კვლავ ტყებუჩავას აქტიური იერიშის შემდეგ გაიტანა აკოფიანმა.

უდავოა, უმაღლეს ლიგაში მოპოვებული ეს პირველი გამარჯვება გარკვეული ფსიქოლოგიური სტიმული იქნება ლანჩხუთელებისთვის.

დაწესებული იყო სპეციალური პრიზები საუკეთესო ფეხბურთელთათვის. „გურიის“ ფეხბურთელებიდან პრიზი გადაეცა გ. ტყებუჩავას, „ქაირათიდან“ — ბ. ჯუმანოვს, პირველი გოლის გატანისთვის ჯილდო ერგო მ. მეგრელაძეს.

ავთანდილ ორმოცაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი — **მდგომარეობა 5 აპრილისთვის**

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1.	„სპარტაკი“ (მოსკოვი)	5	4	1	0	11-2	9	(—1)
2.	ცსკა	5	3	1	1	7-3	7	(—3)
3.	„ტორპედო“ (მოსკოვი)	5	3	1	1	4-1	7	(—3)
4.	„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	5	2	2	1	8-3	6	(—4)
5.	„ვალგირისი“ (ვილნიუსი)	5	2	2	1	7-6	6	(—4)
6.	„მეტალისტი“ (ხარკოვი)	5	2	1	2	4-5	5	(—5)
7.	„დინამო“ (მოსკოვი)	5	2	1	2	3-4	5	(—5)
8.	„შახტიორი“ (დონეცკი)	5	1	3	1	4-4	5	(—5)
9.	„დინამო“ (მინსკი)	5	1	3	1	2-2	5	(—5)
10.	„დინამო“ (კიევი)	3	2	0	1	10-3	4	(—2)
11.	„არარატი“ (ერევანი)	5	2	0	3	3-11	4	(—6)
12.	„ზენიტი“ (ლენინგრადი)	5	1	2	2	3-8	4	(—6)
13.	„გურია“ (ლანჩხუთი)	4	1	1	2	2-3	3	(—5)
14.	„ქაირათი“ (ალმა-ათა)	5	1	1	3	1-5	3	(—7)
15.	„ნეფთჩი“ (ბაქო)	5	0	2	3	3-8	2	(—8)
16.	„დინამო“ (თბილისი)	4	0	1	3	2-6	1	(—7)

ერთადერთი საგზურისათვის

ველოგზოვოდსკში დაიწყო 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი ჭადრაკში. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავენ ქეთევან კახიანი, ჰენრიეტა ლაგვილავა, სოფიკო ნიკოლაძე, ნათია ჯანჯღავა და სოფიკო ტერელაძე. ბრძოლა თავიდანვე დაიძაბება, რადგან სანუკვარი საგზური ერთია და მას გამარჯვებული მოჭადრაკე მიიღებს.

გუშინწინ მოეწყო ჯენჭისყრა, სატურნირო ცხრილში მონაწილენი ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: 1. ალა გალიამოვა (მოსკოვი, ოსტატობის კანდიდატი, 2050), 2. სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი, ოსტატობის კანდიდატი, 2039), 3. სოფიკო ტერელაძე (სამტრედია, ოსტატი, 2133), 4. სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე, საერთაშორისო ოსტატი, 2267), 5. ნადეჟდა ბელაკოვსკაია (ოდესა, ოსტატობის კანდიდატი, 2050), 6. ელენა სედინა (კიევი, ოსტატი, 2205), 7. აინურ სოფიევა (ბაქო, ოსტატი, 2201), 8. ტატიანა ბოროდოვინა, 9. ელენა ზაიაცი (ბარანოვიჩი, ბელორუსია, ოსტატობის კანდიდატი, 2097), 10. ფირუზა ველიხანლი (ბაქო, ოსტატი, 2138), 11. ქეთევან კახიანი (გარდაბანი, ოსტატობის კანდიდატი, 2124), 12. ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი, ოსტატი, 2153), 13. ტულიკა ლაესონი (ტალინი, ოსტატობის კანდიდატი, 2050), 14. ნათია ჯანჯღავა (თბილისი, ოსტატობის კანდიდატი, 2050).

გუშინ გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები: ჯანჯღავა — გალიამოვა 1:0, ლაგვილავა — ტერელაძე 1:0, ზაიაცი — სედინა 1:0, სოფიევა — ბოროდოვინა 1:0, მატვეევა — კახიანი 1:0, ლაესონი — ნიკოლაძე 0,5:0,5, ველიხანლი — ბელაკოვსკაია 0,5:0,5.

გიორგი მაჭარაშვილი.
„ლელოს“ სპეც. კორ.

პირველი ლიგის სტარტზე

გუშინ დაიწყო I ლიგის საკავშირო გათამაშება, 22 გუნდი შეუდგა შეჯიბრების რთულ, ხანგრძლივ გზას. ისინი აპრილიდან ნოემბრამდე იბრძოლებენ უმაღლესი ლიგის ორი საგზურის მოსაპოვებლად.

პირველობის მონაწილეთა შორის არიან ჩვენი ცნობილი გუნდები: ვოროშილოვგრადის „ზარია“, რომელიც 1972 წელს სსრ კავშირის ჩემპიონი იყო, სსრ კავშირის თასის ორგზის მფლობელი მოსკოვის „ლოკომოტივი“, სსრ კავშირის 1969 წლის თასის მფლობელი ლვოვის ასკ „კარპატი“, გუნდები, რომლებიც წარსულ წლებში უმაღლეს ლიგაში გამოდიოდნენ: დონის როსტოვის არმიელთა კოლექტივი, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, ოდესის „ჩერნომორეცი“, ორჯონიკიძის „სპარტაკი“, ვორონეჟის „ფაკელი“, რიგის „დაუგავა“, ტაშკენტის „ფახთაქორი“ და სხვანი. მაღალი მაჩვენებლებისთვის იბრძოლებენ, აგრეთვე, საქართველოს გუნდები — ქუთაისის „ტორპედო“ და ბათუმის „დინამო“. მათს თამაშს საგანგებო ინტერესით მოველით, იმედი გვაქვს, ისინი არ გააწბილებენ ჩვენი გულშემატკივრების იმედებს.

უმაღლესი ლიგის საგზურების მოსაპოვებლად, არსებობ. რომელიმე გუნდს — ეკუთვნა პრეტენზიები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ოდესის „ჩერნომორეცი“, ქუთაისის „ტორპედო“, რიგის „დაუგავა“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, ტაშკენტის „ფახთაქორი“ და სხვანი.

I ლიგის 1987 წლის საკავშირო გათამაშება დიდ ინტერესს იწვევს, უკვე პირველივე ტურში, გუშინ, მეტად საინტერესო მატჩები შედგა, მაგალითად, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „დინამო“ (ბათუმი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი), „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) და სხვ.

ქუთაისში „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუშინდელ შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.

ბათუმის დინამოელთა მატჩი ლვოველ ფეხბურთელებთან ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე შედგა და დამთავრდა ანგარიშით 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.



საქართველოს პირველობა

გათამაშების ცხრილები

II ჯგუფი

მდგომარეობა 4 აპრილისთვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალისტი“ (რუსთავი)	3	3	0	0	8-2	6
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	3	2	1	0	9-4	5
უნივერსიტეტი (თბილისი)	3	2	1	0	5-1	5
სასწ. საცდ. მეურნეობა (მუხრანი)	3	2	1	0	2-0	5
„სამგორი“ (გარდაბანი)	3	2	0	1	3-3	4
„მშენებელი“ (რუსთავი)	3	1	2	0	8-3	4
„ჰერეთი“ (ლაგოდეხი)	3	1	2	0	4-1	4
„ფოსტამტი“ (თბილისი)	3	1	1	1	7-3	3
„ალაზანი“ (გურჯაანი)	3	1	1	1	3-1	3
„თუშეთი“ (ქვ. ალვანი)	3	1	1	1	3-3	3
„ვარდისუბანი“ (ლაგოდ. რ-ნი)	3	1	1	1	3-4	3
„სპი-დინამო-3“ (თბილისი)	3	1	0	2	8-5	2
„ქიზიყი“ (სიღნაღი)	3	1	0	2	2-9	2
სასოფ. სამეურ. ინსტ. (თბილისი)	3	0	2	1	2-3	2
„გარეჯი“ (საგარეჯო)	3	0	1	2	2-5	1
„მოონი-35“ (თბილისი)	3	0	1	2	4-10	1
„სინათ.-ინტერნ.“ (თბილისი)	3	0	1	2	2-9	1
„შირაქი“ (წითელი წყ.)	3	0	0	3	1-10	0

II ქვეჯგუფი

„არაგვი“ (დუშეთი)	3	3	0	0	16-4	6
„გარისი“ (თეთრი წყ.)	3	3	0	0	12-4	6
„კოლმეურნე“ (მარნეული)	3	3	0	0	8-1	6
„განთიადი“ (კასპი)	3	2	1	0	9-3	5
„ალგეთი“ (მარნეული)	3	2	1	0	6-2	5
„მარაბდა“ (კოდა)	3	2	1	0	6-3	5
„ლიახვი“ (ცხინვ. რ-ნი)	3	2	0	1	3-2	4
„თორი“ (ბორჯომი)	3	1	1	1	7-4	3
„განთიადი“ (დმანისი)	3	1	1	1	1-1	3
„აბული“ (ახალქალაქი)	3	1	1	1	5-6	3
„ავტომობილისტი“ (გორი)	3	0	3	0	3-3	3
„ზარზმა“ (ადიგენი)	3	1	0	2	5-10	2
„ვარძია“ (ასპინძა)	3	0	1	2	1-4	1
„თრიალეთი“ (წალკა)	3	0	1	2	2-7	1
„მეავეჯე“ (ახალდაბა)	3	0	1	2	0-6	1
„მესხეთი“ (ახალციხე)	3	0	0	3	4-9	0
„ფარვანა“ (ბოგდანოვკა)	3	0	0	3	1-8	0
„ბაგიათი“ (ჯავა)	3	0	0	3	2-14	0

III ქვეჯგუფი

ხდკ (სამტრედია)	3	3	0	0	9-2	6
„იმერეთი“ (წულუკიძე)	3	3	0	0	5-1	6
„საირმე“ (მაიაკოვსკი)	3	2	1	0	9-4	5
„ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე)	3	2	1	0	7-3	5
„ჩიხურა“ (საჩხერე)	3	2	1	0	5-3	5
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	2	2	0	0	6-2	4
„იბერია“ (ქარელი)	3	1	2	0	4-0	4
„ზანა“ (აბაშა)	3	1	1	1	7-3	3
„ჭოგნარი“ (თერჯ. რ-ნი)	3	1	1	1	4-4	3
„მეშაქრე“ (აგარა)	3	1	0	2	10-7	2
პოლიტ. ინსტ. (ქუთაისი)	3	1	0	2	6-9	2
„მამისონი“ (ონი)	3	0	2	1	3-5	2
„ორპირი“ (ტყიბ. რ-ნი)	3	0	1	2	0-8	1
„მშენებელი“ (ჭიათურა)	3	0	0	3	3-6	0
„ხვამლი“ (ცაგერი)	2	0	0	2	0-4	0
„ცენტმეტალურგმშ.“ (ზესტაფონი)	2	0	0	2	0-5	0
„ქიმიკოსი“ (ამბროლაური)	3	0	0	3	0-12	0

IV ქვეჯგუფი

„მზიური“ (გალი)	3	2	1	0	12-8	5
„ოდიში“ (ზუგდ. რ-ნი)	3	2	1	0	8-3	5
„ჩიბათი“ (ლანჩხუთი)	3	2	0	1	7-4	4
„ალიონი“ (გალის რ-ნი)	3	2	0	1	6-5	4
„კოლხეთი“-2 (ფოთი)	3	1	2	0	5-4	4
„სუბტროპიკი“ (სოხუმი)	3	1	2	0	4-3	4
„დარჩელი“ (ზუგდ. რ-ნი)	2	1	1	0	3-1	3
„დვაბზუ“ (მახარ. რ-ნი)	3	1	1	1	6-6	3
„ნარინჯი“ (გონიო)	3	1	1	1	3-5	3
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	3	1	1	1	2-2	3
„კოლმეურნე“ (გან. გაგ. რ-ნი)	3	1	0	2	3-3	2
„მეშახტე“ (ტყვარჩელი)	2	1	0	1	2-2	2
„ნარინჯი“ (ქობულეთი)	3	1	0	2	5-6	2
„დინამო-2“ (ბათუმი)	2	0	1	1	2-5	1
„ავტომობილისტი“ (ბათუმი)	3	0	1	2	2-6	1
„უნივერსიტეტი“ (სოხუმი)	3	0	1	2	1-4	1
„განთიადი“ (ცხაკაია)	3	0	1	2	1-5	1

11-12 აპრილი ხსოვნის დღეა

სიკვდილზე მაღლა...

სათქმელად ადვილია, ფეხბურთს უყმბარა აიფეთქეთ... თუმცა, როცა კაცს მტრის სიძულვილი ძვალრბილში აქვს გამჯდარი, ცხადია, დანებებასა და ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს ამჯობინებს. ქართველმა მეომარმა ჭეშმარიტი გმირობა ჩადინა. 1944 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულებით გვარდიის ლეიტენანტ ვახტანგ აკაკის ძე ლეჟავას სიკვდილის შემდგომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მე და ვახტანგი ერთად ვსწავლობდით თბილისის მე-8 საშუალო სკოლაში (ახლანდელი 47-ე). ძალიან უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით ტანვარჯიში; თანრიგიც ჰქონდა. აღნაგობაც უწყობდა ხელს. კარგად ცურავდა და ჩოგბურთსაც თამაშობდა. გარდა სპორტისა, მუსიკო

ა იყო დაინტერესებული. ვახტანგი, მე და ვახტანგის ძმა ირაკლი ერთად გამოვდიოდით სადღესასწაულო კონცერტებზე. იგი ვიოლინოზე უკრავდა. კარგი ხმაც ჰქონდა. ჭკვიან ყმაწვილს არც სიანცე აკლდა. მახსოვს, 1941 წლის 20 ივნისი იყო, სკოლა დავამთავრეთ, სკოლის დარბაზში საზეიმოდ გადმოგვცემდნენ სიმწიფის ატესტატებს. უკრავდა სასულე ორკესტრი, რომელიც მთლიანად ჩვენი კურსდამთავრებულებისაგან შედგებოდა. ტუშს დასასრული არ უჩანდა, მაშინაც კი, როდესაც ატესტატების დარიგება დამთავრდა. სკოლის დირექტორი თამარ დარახველიძე მიხვდა ოინს და განრისხებული დაემუქრა ორკესტრანტებს: ხვალ გაკვეთილებზე აღარ დაგიშვებთო. ამან ერთსულოვანი ხარხარი გამოიწვია, გაეცინა დირექტორსაც, როცა გაახსენდა, რომ ჩვენ სკოლა უკვე დამთავრებული გვქონდა. ერთხელ ვახტანგის მეთაურობით „შატალოზეც“ წავედით. ფილმს ვუყურებდით. შუა სეანსის დროს სინათლე აინთო და თავს პატივცემული თამარი და სასწავლო ნაწილის გამგე დავით ჯალაღონია დაგვადგნენ. ბიჭები განსაკუთრებით „მკაცრად“ დასაჯეს — ვახტანგი და მისი მეგობრები მთელი დღე გვიდნენ სკოლის ეზოს.

და აი, დადგა ავადმოსაგონარი 1941 წლის 22 ივნისი. იმ დღეს ყველანი ვახტანგთან შევიკრიბეთ. სკოლის დამთავრება აღვნიშნეთ. ვმხიარულობდით, ვხმაურობდით... ორ საათზე რადიომ ომის დაწყება გამოაცხადა..

მალე ვახტანგი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

აკაკი ლეჟავას ორივე შვილი საომრებლოს შეეწირა, ვახტანგი მხოლოდ 20 წლისა იყო.

გულსატკენია, როცა სამსხვერპლოზე ოცი წლის ყმაწვილებს ხედავ, ისეთებს, როგორიც ვახტანგ ლეჟავა და მისი თანატოლები იყვნენ, სიკვდილზე მაღლა რომ დგანან. მაგრამ გმირობას ერთი აუცილებელი კანონი ჰქონია — მსხვერპლის გაღება...

ნონა ბოზდოკელი-კეზელი.

თბილისის მრავალდღიანი ველორბოლა

ვის რა აწუხებს?

მრავალდღიან ველორბოლაში ყველაზე პატივსაცემი ფიგურა, ტრადიციულად, აქტიური ველოსიპედისტია. იგი, როგორც წესი, განსაზღვრავს რბოლის რიტმს, აიძულებს დანარჩენებს უყრადღებით იყვნენ, ტონს აძლევს გუნდურ პაექრობას და, რაც მთავარია, რბოლის საშუალო სიხშირეზე არეგულირებს. ერთი სიტყვით, აქტიური ველოსიპედისტების წყალობით რბოლა სანახაობრივად საინტერესო ხდება.

თბილისის მრავალდღიან საერთაშორისო ველორბოლაში აქტიური ველოსიპედისტები თითებზე ჩამოსათვლელია. თუმცა ეს გარემოება რბოლის კონიუნქტურითაც არის განპირობებული. საქმე ის გახლავთ, რომ პირველი ეტაპიდან დაწინაურდნენ ლატვიელები, რომლებიც ყოველ ახალ ეტაპზე ცდილობენ ლიდერობის შენარჩუნებას. ლიდერს აქტიური რბოლა, ცხადია, ხელს არ აძლევს. მდგომარეობის გამწვავება უფრო „განთიადის“ ველოსიპედისტებს სურთ, რადგან დაწინაურებულთან შეჯიბრება გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მათ შეუძლიათ.

სწორედ ამიტომ გააქტიურდა რბოლის მეხუთე და ყველაზე გრძელ ეტაპზე (თბილისი-სიღნაღი-თბილისი, 187 კილომეტრი) „განთიადის“ წარმომადგენელი კობა აბაიშვილი. სართიჭალასთან მან „გაქცევა“ გადაწყვიტა და თან რამდენიმე ველოსიპედისტი გაიყოლია: სოხუმელი ანატოლი ბადინგერი (პირად ჩათვლაში მოასპარეზე), ხერსონის „ტრუდის“ წევრი სერგეი კუხარსკი და „კოლმეურნის“ წარმომადგენელი ნუკრი კაკალაშვილი. ამ ოთხეულმა ჩალაუბნამდე, თითქმის მთელი 50 კილომეტრი, მარტომ იარა.

მაგრამ გულმშვიდად არც ძირითადი ჯგუფი იყო. გაქცეულთა „დაჭერა“ სხვებზე უფრო მეტად ლატვიელებს სურდათ, ვინაიდან ლიდერთა ჯგუფში მათ არ ჰყავდათ წარმომადგენელი. და სწორედ მათი აქტიური მეცადინეობის წყალობით დაეწია ჯგუფი ლიდერებს.

ბრძოლის გამწვავების კიდევ ერთი ცდა სიღნაღის აღმართზე განხორციელდა, მაგრამ იგი ხანმოკლე გამოდგა: „მეამბოხეები“ ბედს შეურიგდნენ.

ფინიშის ხაზი ველოსიპედისტებმა ასეთი თანმიმდევრობით გადაკვეთეს: 1. ნუკრი კაკალაშვილი, 2. კასპარას ოზერსი (ლატვია I), 3. გენადი გოდუნოვი (ასკ თბილისი). სამივეს ერთნაირი დრო დაუფიქსირდა — 4:58.58.

ხუთი ეტაპის შემდეგ რბოლას ყველაზე დებუტად პირად პირველობაში მოასპარეზე გენადი გოდუნოვი ლიდერობს — 14:22.43. მეორე ადგილზეა ხერსონის „ტრუდის“ წარმომადგენელი მიხეილ კნიაზევი — 14:22.53, მესამეზე — ხვიჩა ბარბაქაძე („კოლმეურნე“) — 14:24.08.

გუნდურ ბრძოლაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. პირველი სამეული ასე გამოიყურება: 1. ლატვია I — 43:16.45, 2. „განთიადი“ — 43:26.22, 3. „ტრუდი“ (ხერსონი) — 43:30.46.

თბილისის სახელმწიფო ცირკში გუშინ დასრულდა ქართულ ჭიდაობაში სოფლებისა და ქალაქის უბნების რესპუბლიკური პირველობის ნახევარფინალური შეხვედრები. მარტყოფელებმა (გარდაბანი) სძლიეს ციხისუბნელებს (გორი) — 5:4. სოფელ ქიხტაურისა (ახმეტა) და სოფელ ვაყის (ხაშური) გუნდების შეხვედრაში წარმატება წილად ხვდათ ახმეტელებს — 6:3. გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან. ეს ასპარეზობა გაიმართება მიმდინარე წლის მაისში.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 29 მარტს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-13 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: გაიყიდა 1028818 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (54 ბარათი) მოგება 1555 მანეთია, ოთხისთვის (2422) — 38, სამისთვის (44196) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-იდან: გაიყიდა 9475269 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (57 ბარათი) მოგება 9991 მანეთია, ოთხისთვის (8570) — 122, სამისთვის (245210) — 5.

მე-13 ტირაჟების მოგებათა განაღდება იწამოებს 13 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 5 აპრილი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1),** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა შორის: ცსკა — „ურალოჩკა“ — **20.30 (2);** ხელბურთი: საერთაშორისო ფედერაციის პრიზზე. ნახევარფინალური მატჩები; ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება — **21.15 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **23.30 (1).**

6 აპრილი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.05 (1)** და **19.15 (2);** ნორჩ ჰოკეისტთა ტურნირი — **17.45 (1).**

საქართველოს ტელევიზია. 5 აპრილი. საფეხბურთო მიმოხილვა — **23.30.**

6 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — **19.00.**

საქართველოს რადიო. 5 აპრილი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

6 აპრილი. რიტმული ვარჯიში — **11.40;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — **20.00.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

დარჩა ბოლო ტური

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები იმ გუნდებისათვის, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან. საინტერესოა ერთი დეტალი: მასპინძლებმა ამჯერად ყველა შეხვედრა მოიგეს.

ვილნიუსი. „სტატიბამ“ ორჯერ დაამარცხა ალმა-ათის არმიელები (101:96 და 96:90) და სატურნირო ცხრილში მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

კიევი. „სტროიტელმა“ ორი შეხვედრა მოუგო მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდს (90:70 და 97:94). სატურნირო ცხრილში კიეველებმა ერთი ადგილით წინ გადაინაცვლეს.

აქვე, გათამაშების ლიდერმა ადგილობრივმა არმიელებმა მოსკოვის დინამოელები დაამარცხეს — 82:80, 90:83.

4 და 5 აპრილს ამ ჯგუფის ბოლო ტურის მატჩებია: ასკ (კიევი) — რტი (მინსკი), „სტროიტელი“ — „სტატიბა“, „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ (ალმა-ათა).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 აპრილისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ასკ (კიევი)	40	20	20	60
„სტატიბა“ (ვილნიუსი)	40	19	21	59
„სტროიტელი“ (კიევი)	40	18	22	58
„დინამო“ (მოსკოვი)	40	17	23	57
რტი (მინსკი)	40	14	26	54
ასკ (ალმა-ათა)	40	14	26	54

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

გამარჯვებული!

„იგი უდავოდ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ თავისი პოტენციური შესაძლებლობები სრულად ჯერ კიდევ არ გამოუვლენია. წლევანდელ სეზონში ბელანოვს სტაბილურობა არ ეყო. ჩვენს გუნდში მან კარგად დაიწყო: „სპარტაკთან“ გამართულ მატჩში ორი გოლი გაიტანა, ამდენჯერვე აიღო „შახტიორის“ კარიც, მაგრამ შემდეგ დაშავდა, რასაც სპორტული ფორმის დაქვეითება მოჰყვა. ეტყობა, ბელანოვს რატომღაც გაუგრძელდა ახალ კოლექტივთან ადაპტაციის პერიოდი, მაგრამ ჩვენ მისი გვჯერა და იმედაც ვამყარებთ ამ სპორტსმენზე“. ვალერი ლობანოვსკის ეს სიტყვები 1985 წლის ნოემბერში დაიბეჭდა „სოვეტსკი სპორტში“. გამოცდილ მწვრთნელს გუმანმა არ უღალატა — კიევის „დინამოს“ თავდამსხმელმა იგორ ბელანოვმა მართლაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდის სახელი დამკვიდრა. მაინც, მაშინ ალბათ თვით ლობანოვსკიც ვერ წარმოიდგენდა, რომ 1986 წლის ბოლოს, სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, იგორ ბელანოვს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებდნენ და „ოქროს ბურთით“ დააჯილდოებდნენ.

მართალია, შარშან ბელანოვმა მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ ბევრი გულშემატკივრის, ჟურნალისტისა და სპეციალისტისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა მისი პირველ ადგილზე გასვლა „ფრანს ფუტბოლის“ რეფერენდუმში.

იგორ ბელანოვის ასეთი აღიარება, ეფექრობ, პირველ ყოვლისა, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში საბჭოთა ნაკრების შთამბეჭდავმა გამოსვლამ და თვით ბელანოვის ეფექტურმა, შედეგიანმა თამაშმა განაპირობა. ყოველ შემთხვევაში, მანამდე ფართო საზოგადოება ამ ფეხბურთელს ფაქტიურად არც იცნობდა.

იგორ ბელანოვმა ფეხბურთის თამაში მშობლიურ ქალაქ ოდესაში დაიწყო. თუმცა საფეხბურთო სკოლაში მეცადინეობა რომ მოისურვა, თავდაპირველად.... უარი მიიღო — ფეხბურთისთვის ტანდაბალი ხარო. ამგვარად, იგორისთვის ერთადერთი სარბიელი მშობლიური მისაოედოვსკაიას ოღრორჩოღრო ეზოები იყო. იგი ქუჩის ნაკრებში ჩაირიცხა, „ტყავის ბურთის“ გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და... სწორედ ამის შემდეგ მოხვდა ოდესის „ჩერნომორეცის“ იუნიორთა გუნდში. თვრამეტი წლისა (დაიბადა 1960 წელს) „ჩერნომორეცის“ დუბლიორთა გუნდის წევრი გახდა, შემდეგ კი ჯარში გაიწვიეს და ოდესის არმიის სპორტულ კლუბში გადავიდა. სწორედ ამ გუნდში გამოდიოდა, როცა პირველად მიიწვიეს კიევის „დინამოში“. იმ ამბავს ბელანოვი ასე იხსენებს: „ცდუნება, რაღა თქმა უნდა, დიდი იყო, მაგრამ მეყო ნებისყოფა, რომ უარი მეთქვა და შინ დავრჩენილიყავი. ახლა დარწმუნებული ვარ, ჩემი მაშინდელი გადაწყვეტილება სწორი იყო. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ კვლავ „ჩერნომორეცში“ დავბრუნდი და უკვე უმაღლესი ლიგის მატჩებში ვთამაშობდი. „ჩერნომორეცში“ მიღებული გამოცდილება დიდად დამეხმარა კიევის „დინამოში“.

მიუხედავად ამისა, ბელანოვს თავდაპირველად გაუჭირდა იმ დატვირთვასთან შეგუება, რაც კიევის „დინამოს“ მოთამაშეებს აწევთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ, იუ ბესავე სიტყვებით ვიტყვით, კიევში გადასვლა ლამის სანანებლადაც კი ექცა, მაგრამ ვალერი ლობანოვსკის სჯეროდა მისი და ეს რწმენა ახალბედასაც ჩაუნერგა.

ახლა იგორ ბელანოვი კიევის „დინამოსა“ და საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. მართალია, ბელანოვის თამაშის სტილის ავკარგიანობაზე კამათი ჩვენში კიდევ გრძელდება (ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად 1986 წელს ალექსანდრე ზავაროვი დაასახელეს), მაგრამ სპორტსმენისთვის „ოქროს ბურთის“ მინიჭება მისი უდავო ოსტატობისა და საერთაშორისო აღიარების დადასტურებაა.

ერთი სიტყვით, მან გაიმარჯვა. გამარჯვებულებს კი, რომ იტყვიან, არ ასამართლებენ.

ზურაბ ინასარიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06858

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.